საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/151 „ 6 " აგვისტო 2021 წ.

# განკარგულება

**მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის" $13^1$ მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.
2. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2021 წლის 7 აგვისტოდან 13 აგვისტოს ჩათვლით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი